

პასუხები საგენტოს N 21/1919 23/05/2022 წერილით გამოგზავნილ შეკითხვებზე

N	კითხვა	პასუხი
1.	<p>გზშ-ის ანგარიშის თანახმად, საწარმოო ობიექტი მდებარეობს ქ. რუსთავში, მშვიდობის ქ. N12-ში, შპს „ჯეო ენტერპრაიზის“ საკუთარებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე, საკადასტრო კოდით 02.07.01.299. მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ შპს „ჯეო ენტერპრაიზის“ მიერ მოხდა ტერიტორიის გაფართოება და ზემოაღნიშნულმა მიწის ნაკვეთმა 2022 წლის 4 მაისს შეიცვალა საკადასტრო კოდი - 02.07.01.802. შესაბამისად, აღნიშნული საკითხი საჭიროებს კორექტირებას;</p>	<p>მეტალურგიული საწარმოს დაპროექტება განხორციელდა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე, საკადასტრო კოდით 02.07.01.299.</p> <p>გზშ-ს ადმინისტრაციული საქმის წარმოების პროცესში აუქციონის წესით შევიდინეთ მომიჯნავე მიწის ნაკვეთი, რომელიც გავერთიანეთ N02.07.01.299. მიწის ნაკვეთთან. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მონიჭებული იქნა ახალი კოდი N02.07.01.802. წარმოგიდგენთ ამონაწერს საჯარო რეესტრიდან.</p>
2.	<p>გზშ-ის ანგარიშში მოცემული ინფორმაციით 10 02 02 (გადაუმუშავებული წიდეები) ნარჩენები განთავსდება შპს „რუსთავის ფოლადის“ წიდისა და ჯართის გადამამუშავებელ საწარმოს წიდასაყარზე. „ნარჩენების მართვის კოდექსის“ თანახმად, ნარჩენები უნდა გადაეცეს შესაბამისი ნებართვის ან/და რეგისტრაციის მქონე ორგანიზაციას შემდგომი მართვის მიზნით. გაცნობებთ, რომ შპს „რუსთავის ფოლადის“ წიდასაყარზე არ არის გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაზუსტებას საჭიროებს წარმოდგენილი ნარჩენების კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად მართვის საკითხები;</p>	<p>მეტალურგიული წიდა გამოიყენება ცემენტის წარმოებაში მინერალურ დანამატად. არსებული პრაქტიკით, ცემენტის მწარმოებლები წიდის შეყიდვას ახორციელებენ რუსთავის ფოლადის წიდასაყარიდან.</p> <p>შენიშვნის გათვალისწინებით, საწარმოში წარმოქმნილი წიდა გადაეცემა ცემენტის მწარმოებლებს, რომლებიც ფუნქციონირებენ რუსთავის ტერიტორიაზე და რომლებზედაც გაცემულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.</p> <p>(შპს „მაქს იმპორტი“ ბრძანება N2-1283 25/-8/2021; შპს „გია-2019“ ბრძანება 30/12/2021)</p>
3.	<p>წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია წიდების მოსალოდნელი პროცენტული შემადგენლობისა და აღნიშნულის შესაბამისად, მათი გამოყენების მიმართულებების შესახებ;</p>	<p>გზშ- ანგარიშში მოცემულია წიდების მოსალოდნელი შემადგენლობის შესახებ (5.8. ქვეთავი. ცხრილი 5.3.), იგივე თავში განმარტებულია, რომ „წიდების გამოყენება შესაძლებელია/მიზანშეწონილია ინერტული ნედლეულის შემცველად, გზების მშენებლობაში, ტერიტორიის</p>

		შესავსებად, მოსასწორებლად სამშენებლო სამუშაოების დროს, ასევე ცემენტის და სამშენებლო მასალების წარმოებაში“.
4.	<p>გზშ-ის ანგარიშში, ცხრილში 5.5 წარმოდგენილია საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელი ნარჩენების ჩამონათვალი და მახასიათებლები, სადაც მითითებულია, რომ მოსალოდნელია 18 01 03* (ნარჩენები, რომელთა შეგროვება და განადგურება ექვემდებარება სპეციალურ მოთხოვნებს ინფექციების გავრცელების პრევენციის მიზნით) ნარჩენების წარმოქმნა, რომელთა შეგროვებაც მოხდება სპეციალურ ყუთებში, ხოლო შემდგომი მართვის მიზნით ხელშეკრულების საფუძველზე გადაეცემა შპს „მედიკალ ტექნოლოგს“. გაცნობებთ, რომ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 17 აგვისტოს №426 დადგენილებით დამტკიცებული „სახეობისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხის განსაზღვრისა და კლასიფიკაციის შესახებ“ ნარჩენების ნუსხის შესაბამისად, 18 01 03* კოდი ერთიანდება 18 01 კოდით წარმოდგენილ ჯგუფში - ნარჩენები მშობიარობის, დიაგნოსტიკის, მკურნალობისა და დაავადებების პრევენციული ღონისძიებებიდან ადამიანებში. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს კონკრეტულად რა სახის ნარჩენების წარმოქმნაა მოსალოდნელი საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე;</p>	<p>მეტალურგიული საწარმოები შრომის უსაფრთხოების მოთხოვნების შესაბამისად, ვალდებულია საწარმოში იქონიოს სააფთიაქო ყუთები და პირველადი სამედიცინო დახმარებისათვის საჭირო მასალები, რომელთა გამოყენების შემთხვევაში შესაძლებელია წარმოიქმნას მე-18 ჯგუფის- ნარჩენი („ნარჩენები, რომელიც წარმოიქმნება ადამიანის ან ცხოველის სამედიცინო მომსახურებით, ან/და“), რომელთა შეგროვება და განადგურება ექვემდებარება სპეციალურ მოთხოვნებს, ინფექციების გავრცელების პრევენციის მიზნით.</p>
5.	<p>გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, საწარმოში ნედლეულის (ჯართის), მათ შორის კვარცის ქვიშის, ბენტონიტის და ფეროშენადნობის შემოტანა მოხდება სათანადო მომწოდებლებისაგან, ხელშეკრულების საფუძველზე. დაზუსტებას საჭიროებს საწარმოში ნედლეულის შემოტანის საკითხი, მათ შორის დაგეგმილია თუ არა მათი იმპორტი სხვა ქვეყნებიდან;</p>	<p>გზშ-ს ანგარიშში ქვეთავი 5.2. „გამოყენებული ნედლეული და მასალები“- განხილულია, რომ ძირითადი ნედლეულის ჯართის შესყიდვა მოხდება არსებული ჯართის შემგროვებელი პუნქტებიდან. რაც შეეხება იმპორტით შემოტანილ ნედლეულს აღიშნული მითითებულია „სხმულზე ანუ ნამზადზე“, რომელიც წარმოადგენს მეტალურგიული საწარმოს ნახევარფაბრიკატს და წარმოადგენს ნედლეულს სხვადასხვა დეტალების</p>

		<p>დასამზადებლად. გზშ-ს ანგარიშში მითითებულია, რომ ნამზადი შესაძლებელია შესყიდული იქნას როგორც ადგილობრივი მწარმოებლებისაგან, ისე იმპორტიორებისაგან.</p> <p>რაც შეეხება საჭირო ნედლეულის (ჯართი, ბენტონიტი, კვარცის ქვიშა) მომწოდებლებს მათ შეყიდვაზე ერთი რომელიმე მომწოდებელი არ არის გათვალისწინებული, რადგან ცალკეული შეყიდვა განხორციელდება ნედლეულის ხარისხის, ფასისა და სხვა პირობების მიხედვით (როგორც ცნობილია საქართველოში ჯართის შემგროვებელი არაერთი პუნქტია, ასევე კვარცის ქვიშისა და ბენტონიტიური თიხების მოპოვებაზე გაცემულია ლიცენზიები, თუმცა მათ გადამუშავებას ან/და რეალიზაციას შესაძლებელია ახდენდნენ სხვა კომპანიები, რომლებისგანაც მოხდება ნედლეულის შეძენა).</p>
6.	<p>გზშ-ის ანგარიშის თავში 4. „პროექტის საჭიროების დასაბუთება“, აღნიშნულია, რომ განხორციელდა ადგილობრივი ბაზრის წინასწარი კვლევა, რის საფუძველზეც მოხდა საქმიანობის დაგეგმვა. თუმცა, დოკუმენტში არ არის მოცემული ინფორმაცია აღნიშნული კვლევის შესახებ (მეთოდოლოგია, განხორციელების პერიოდი, კვლევის შედეგები და სხვა), რაც საჭიროებს დაზუსტებას;</p>	<p>ბაზრის კვლევა - ეს არის მომხმარებელთა ჯგუფის შესახებ ინფორმაციის შეგროვება და ანალიზი.</p> <p>ბაზრის კვლევის მიზანია განსაზღვროს ბაზრის პოტენციალი, რომელიც გამოყენებული იქნება ბიზნესის დაგეგმვასა და მარკეტინგულ სტრატეგიაში. კვლევა შედგება მონაცემთა შეგროვების, ანალიზისა და შეფასებისაგან.</p> <p>მონაცემთა შეგროვება ორ სახეობად იყოფა: პირველადი მონაცემები (კონკრეტული კვლევის მიზნით შეგროვებული) და მეორადი (უკვე არსებული, ხელმისაწვდომი).</p> <p>შეგროვებული მონაცემები შეფასებამდე საჭიროებს ანალიზს, რომელიც გულისხმობს მონაცემების დაჯგუფებას, გამარტივებას. ანალიზი საშუალებას იძლევა შეფასებული იქნას ბაზრის პოტენციალი.</p>

		<p>შეფასება გულისხმობს ბაზრის ზომის, კონკურენტულობისა და ცალკეულ პროდუქტზე მოთხოვნის დაგეგმვას.</p> <p>ბაზრის კვლევა ორი ტიპისაა: თვისობრივი და რაოდენობრივი. შესაძლებელია ორივე მეთოდის ერთდროულად გამოყენებაც.</p> <p>შპს „ჯეოენტერპრაიზ“ საქმიანობის დაგეგმვის ადრეულ ეტაპზე ახორციელებდა სამომხმარებლო ბაზარზე დაკვირვებას, როგორც პირველადი ინფორმაციის შეგროვებას ისე უკვე არსებული მონაცემების ანალიზს.</p> <p>ინფორმაციის შეგროვება მოიცავდა მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტებისა და მიმდინარე ტენდერების შესწავლა-ანალიზს, ამ სფეროში არსებული ბიზნესის გამოცდილების გაზიარებას.</p> <p>ბაზრის თვისობრივმა ანალიზმა აჩვენა, რომ ბაზარზე დეფიციტურია ცალკეული მოწყობილობების, მანქანა-დანადგარების დეტალები, როგორიცაა სამსხვრეველას ჯავშანი, წიქსვილის სხვადასხვა ზომის ბურთები და სხვა. აღნიშნულ დეტალებზე მოთხოვნა რაოდენობრივად დიდი არ არის, თუმცა მომხმარებლებს დეტალების დეფიციტურობის გამო უწევთ უცხოეთში შეკვეთა. აღნიშნული იწვევს ცალკეული საქმიანობების შეფერხებას.</p> <p>მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტები საჭიროებს ცალკეული ლითონის დეტალების გამოყენებას, რომელიც არ იყიდება სერიულად (მაგ. დეტალები სხვადასხვა შინაარსის წარწერით ან ლოგოთი).</p> <p>მონაცემების ანალიზისა და საკუთარი შესაძლებლობების გათვალისწინებით დაიგეგმა საწარმოს მოწყობა, სადაც ტექნიკურად შესაძლებელი იქნება სხვადასხვა ფორმისა და დანიშნულების დეტალების ჩამოსხმა. ამ მიმართულებით კომპანია შეძლებს</p>
--	--	---

		მონაწილეობა მიიღოს ტენდერებში, ინფრასტრუქტურულ პროექტებში.
7.	გზმ-ის დოკუმენტი უნდა მოიცავდეს წარმოებისთვის და მასთან დაკავშირებული ტექნოლოგიების დასაბუთებას, რაც წარმოდგენილია ღუმელის შემთხვევაში, თუმცა გაურკვეველია და დაზუსტებას საჭიროებს, რა კრიტერიუმის მიხედვით შეირჩა საწარმოსთვის რუსული წარმოების ფილტრი და რა უპირატესობით ხასიათდება ის სხვა ალტერნატივებთან შედარებით;	ტექნოლოგიურ ალტერნატივებში განხილულია რატომ იქნა შერჩეული ინდუქციური დნობის მეთოდი. რაც შეეხება გამწმენდი სისტემის ალტერნატივას, მტვედამჭერი მოწყობილობებიდან მშრალი სახელოიანი ფილტრის ეფექტურობა ყველაზე მაღალია, შესაბამისად სახელოიანი ფილტრის არჩევა ამ შემთხვევაში უალტერნატივოა გარემოდაცვითი თვალსაზრისით. რაც შეეხება მწარმოებელს, ფილტრი გერმანული წარმოებისაა. მისი მახასიათებლები გზმ-ს ანგარიშში ჩადებულია თარგმანის სახით, რადგან საპასპორტო მონაცემები გერმანულ ენაზეა შედგენილი (წარმოგიდგენთ დანართის სახით). გამწმენდი სისტემა აღჭურვილია რუსული წარმოების კვამლგამწოვით, რომელიც ადაპტირებულია ქვეყანაში არსებულ ელექტროკვებაზე.
8.	გზმ-ის ანგარიშში აღნიშნულია, რომ საწარმოში წარმოქმნილი ჩამდინარე წყლები ჩაშვებული იქნება რუსთავის სანიაღვრე წყლების კოლექტორში. წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამისი ხელშეკრულება;	წარმოგიდგენთ გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის თანხმობის წერილს სანიაღვრე ჩამდინარე წყლების გატარებაზე.
9.	გზმ-ის ანგარიშში აღნიშნულია, რომ ტექნიკური წყალმომარაგების მიზნით საწარმოს მოწყობილი აქვს მიწისქვეშა ჰორიზონტის ჭა, რომელზეც ლიცენზიის მისაღებად კომპანიამ მიმართა სსიპ მინერალური რესურსების ეროვნულ სააგენტოს. ხოლო 2022 წლის 3 მაისს, ზემოაღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით გამართულ საჯარო განხილვაზე საკონსულტაციო კომპანიის შპს „სამნის“ წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ კომპანიას უკვე მიღებული აქვს შესაბამისი ლიცენზია. აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას, ხოლო ლიცენზიის არსებობის	გზმ-ს ადმინისტრაციული საქმის წარმოების ეტაპზე აღებული იქნა წიაღითსარგებლობის ლიცენზია. წარმოგიდგენთ ლიცენზიის ასლს.

	შემთხვევაში, შესაბამისი დოკუმენტაციის სააგენტოში წარმოდგენას;	
10.	გარდა ამისა, სააგენტოში წარმოდგენილი უნდა იქნეს ნედლეულის ტრანსპორტირების გეგმა-გრაფიკთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტთან კომუნიკაციის ამსახველი ინფორმაცია/დოკუმენტაცია;	ტრანსპორტირების გეგმა-გრაფიკი შეთანხმებული იქნა რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიასთან. დანართის სახით წარმოგიდგენთ რუსთავის მერიის წერილს.
11.	გზშ-ის ანგარიშში, ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედების შერბილების ღონისძიებებში აღნიშნულია, რომ „არახელსაყრელი მეტეოროლოგიური პირობების დროს ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებისაგან დაცვის მიზნით, შედგენილი იქნება სათანადო მოქმედებათა გეგმა.“ აღნიშნული ჩანაწერი საჭიროებს დაზუსტებას მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის კუთხით;	„არახელსაყრელ მეტეოროლოგიურ პირობებში ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის შემცირების ღონისძიებათა გეგმის“ შემუშავება ხდება საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 იანვრის №8 დადგენილებით დამტკიცებული „არახელსაყრელ მეტეოროლოგიურ პირობებში ატმოსფერული ჰაერის დაცვის ტექნიკური რეგლამენტის“-ის შესაბამისად. დადგენილებას წარმოგიდგენთ დანართის სახით.
	აირგამწმენდი სისტემის სიმძლავრის დასაბუთების მიზნით, საჭიროა დამატებით წარმოდგენილ იქნეს აირგამწმენდი სისტემის/კვამლგამწოვის დეტალური პასპორტი ქართულ ენაზე	კვამლგამწოვის პასპორტი ქართულ ენაზე არ არსებობს, მისი ტექნიკური მახასიათებლები (თარგმანი) ჩადებულია გზშ-ს ანგარიშში. ასევე წარმოდგენილია კვამლგამწოვის პასპორტის დედანი - ქართული განმარტებებით. განმეორებით წარმოგიდგენთ კვამლგამწოვის ტექნიკურ პასპორტს ქართულად ნათარგმნს.